თამთა მხარგრძელი ხლათის სასულთნოსა და მონღოლურ სახელმწიფოთა ურთიერთობების ჰორიზონტზე XIII საუკუნეში

ზურაბი მაჭავარიანი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ისტორიის დოქტორანტი. საქართველო,
ქ.თბილისი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5.
+995557343812.Zurabi.machavariani.1@iliauni.edu.ge
https:/orcid.org0009-0005-1910-8710

აბსტრაქტი

სტატიის მიზანია ნათელი მოჰფინოს ხლათის თურქულ სასულთნოს, მეზობელ მონღოლურ სახელმწიფოსა და საქართველოს სამეფოს შორის არსებულ ურთიერთობებს, ასევე გვსურს, მკაფიოდ წარმოვაჩინოთ თამთა მხარგრძელის როლი მეზობელი სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ასპექტში. სტატია ხელს შეუწყობს XIII საუკუნის დასაწყისში ხლათის სასულთნოში არსებული შიდა პოლიტიკური ვითარების აღწერას და იგი გადმოსცემს ადგილობრივი ხელისუფლების ურთიერთობებს, როგორც მახლობელ ქრისტიანულ სახელმწიფოებთან (იგულისხმება საქართველოს სამეფო), ასევე ცენტრალური აზიიდან შემოჭრილი მონღოლური სახელმწიფოების მეთაურებთან. აქედან გამომდინარე, ჩვენი მიზანია დიპლომატ-

იური ურთიერთობების სწრაფად წარმართვისა და წარმოების პროცესში თამთა მხარგრძელის, როგორც შუამავლის, როლის წარმოჩენა. სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, თამთას მიერ უმეთაუროდ დარჩენილი ხლათის სასულთნოს დროებითი მმართველის პოზიციისა და მისი, როგორც დიპლომატის, მოღვაწეობის აღწერა. XIII საუკუნეში თამთა მხარგრძელის პიროვნება დიპლომატიური ურთიერთობების კუთხით მკაფიოდ ასოცირდებოდა საქართველოს სამეფოსა და მის მეზობელ მუსლიმურ სახელმწიფოებთან მიმართებაში. საკვლევი თემა წარმოაჩენს ქართველების როლს მეზობელი ხლათის სასულთნოსა და მონღოლურ სახელმწიფოებში, აღწერს მათ ღვაწლსა და მნიშვნელობას. საკვლევი საკითხი ქართულ ისტორიულ წყაროებსა და შრომებში ნაკლებად არის დამუშავებული. კონკრეტული კვლევა ხელს შეუწყობს შუა საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის აღწერას და იგი ნათლად მიუთითებს ქართველთა როლზე (იგულისხმება ქალების როლი და მათი პოზიცია) მეზობელი ქვეყნების სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში. კვლევა აღადგენს იმ ისტორიულ პერსპექტივებს, რომლებიც XIII საუკუნის საქართველოსა და მეზობელ თურქულ-მონღოლურ სახელმწიფოებთან დიპლომატიურ და სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთობებში წარმოჩინდა და იგი ნათელი მაგალითი იქნება ამ პროცესების გაანალიზებისა და დამუშავების საკითხში.

საკვანძო სიტყვები: დიპლომატიური ქორწინება, კულტურა, ძალაუფლება, რელიგია, პოლიტიკა.

შესავალი

დინასტიური ქორწინებები შუა საუკუნეების საზოგადოების ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელია. მათი საშუალებით იქმნებოდა შესაძლებლობა, განსხვავებული პოლიტიკური სტრუქტურის, მსგავსი ან განსხვავებული აღმსარებლობის, კულტურისა და საზღვრების მქონე ხალხები ერთმანეთს დაახლოებოდნენ და დაემყარებინათ ახლო ურთიერთობები, რომელსაც ორივე მათგანისთვის უკეთესი და სტაბილური მომავალი უნდა მოეტანა. ხშირ შემთხვევაში დიპლომატიური ქორწინებები სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკისა და გავლენის იმ უმთავრეს პირობად მიიჩნეოდა, რომლის საშუალებით შესაძლებელი იყო მეზობელ სახელმწიფოებთან პოლიტიკური, სამხედრო და დიპლომატიური ურთიერთობების მოწესრიგება და გაუმჯობესება.

თამთა მხარგრძელის შესახებ ისტორიული წყაროები მწირია. ჩვენი მიზანია XIII საუკუნის აღმოსავლურ წყაროებზე დაყრდნობით შევისწავლოთ თამთა მხარგრძელის მოღვაწეობა, პოლიტიკური, სამხედრო და დიპლომატიური თვალსაზრისით. აღვადგინოთ ის ისტორიული პერსპექტივები, რომლებიც XIII საუკუნის საქართველოსა და მეზობელ თურქულ-მონღოლურ სახელმწიფოებთან დიპლომატიურ კავშირში გამოჩნდა (ბუნებრივია, რის გამოკვლევასაც ისტორიული წყაროების მიხედვით შევძლებთ). დადგინდეს თამთა მხარგრძელის ხლათის სასულთნოში ტყვეობის ძირითადი ასპექტები, რომელთა შესწავლითაც შესაძლებელი იქნება, მისი ცხოვრების უცნობი მხარეების აღდგენა. კვლევა იქნება სიახლის შემცველი ქართული სამეფო კარისა და თურქული ხლათის სასულთნოს საგარეო კავშირების აღწერისა და დამუშავების თვალსაზრისით, განსაკუთრებით კი თამთა მხარგრძელის, როგორც პოლიტიკოსის, დიპლომატისა და ქრისტიანი ქალის ცხოვრების წარმოჩენის

მიზნით. სიახლის თვალსაზრისით კვლევა კარგად გადმოსცემს, თამთა მხარგრძელის გარდა, ილხანთა მონღოლურ სახელმწიფოში მოღვაწე სხვა სამეფო გვარის ქალების აღზევების ისტორიასა და მათი ცხოვრების გზის შედარებით ანალიზს თამთა მხარგრძელთან. ზემოთქმული გაზრდის კვლევის ღირებულებას გენდერული კუთხით.

ამასთან ერთად, კვლევის სიახლეს წარმოადგენს ხლათის სასულთნოს მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის აღწერა და მათი წარმოჩენა მონღოლთა დაპყრობების ეპოქაში.

ჰიპოთეზა

ქართული სამეფო კარის დიპლომატიური ქორწინებები საქართველოს სამეფოს უმთავრეს პრიორიტეტულ საგარეო პოლიტიკურ-სეგმენტურ მიმართულებას წარმოადგენდა.

მეთოდები

კვლევითი მუშაობის მთავარ მიმართულებად გამოყენებული იქნება ისტორიული წყაროების ტიპოლოგიური დამუშავების მეთოდი (პირველადი და მეორეული წყაროები, სამეცნიერო შრომები და სტატიები), წყაროთა კლასიფიკაცია და მათი დამუშავება. კვლევის მიმართულებად არჩეული იქნება თვისობრივი მეთოდი. კონკრეტულად: წყაროთა მოძიებისა და შესწავლის შემდეგ დადგინდება მათი სანდოობა, ურთიერთდაკავშირება და შემდეგ კი განისაზღვრება საკვლევი თემის მიმართულება. ვეცდებით მსგავსი, ერთგვაროვანი და განსხვავებული მოსაზრებების დამუშავებას ძირითადი თემის გარშემო, მათ გაანალიზებას, შეპირისპირებას და საბოლოო მოსაზრების ჩამოყალიბებას.

შედეგები

კვლევის შედეგად უნდა ითქვას, რომ თავდაპირველად თამთა მხარგრძელს გაუჭირდა ხლათის სასულთნოს სამეფო ოჯახში დამკვიდრება, თუმცა თანდათან თამთამ თავისი გავ-

ლენები გაზარდა და ადგილობრივი ქრისტიანული მოსახლეობა და თემები გააძლიერა, მათ მფარველად იქცა. ქართველი და უცხოელი მკვლევრების: გ. ჯაფარიძის, თ. ალსენის, რ. ჰამპრის, ვ. მინორსკის, ა. ვარდანიანის, ი. აუგის, ე. ისთმონდის, ჰ. კონრადისა და ბ. დე ნიკოლას მოსაზრებების თანახმად, თამთას ღვაწლი ხლათის სასულთნოში მცხოვრები ქრისტიანების, ადგილობრივი მონასტრებისა და ქრისტიანი პილიგრიმებისადმი საკმაოდ დიდია. მან მხარი დაუჭირა ქრისტიანული ეკლესია-მონასტრების დაცვასა და მათზე ზრუნვით ხელი შეუწყო ქრისტიანული კერების გაძლიერებას, გაფართოებას ქრისტიანული სამყაროს მიღმა მდებარე ისლამურ ხლათის სასულთნოში. თამთა მონაწილეობდა ხლათის სასულთნოსა და მონღოლებს შორის დიპლომატიურ ურთიერთობებში. მან თავისი ცხოვრების მიწურულს დიდი გავლენა მოიპოვა და იგი ჩანს თურქულ-მონღოლურ სახელმწიფოთა მოლაპარაკებების ჰორიზონტზე. თამთა მხარგრძელი ხლათის სასულთნოში თავისი ინიციატივით ჭრის მონეტებს, ეწევა საგადასახადო და ფისკალურ პოლიტიკას, მონღოლთა მხარდაჭერით ხლათის სასულთნოს მოსახლეობის თვალში კიდევ უფრო მეტად იმტკიცებს ძალაუფლებას და, ფაქტობრივად, შეუვალი მმართველის პოზიციას იკავებს, რაც მის ფართო შესაძლებლობებზე, გავლენასა და მიღწევებზე მეტყველებს. XIII საუკუნეში არსებული გეოპოლიტიკური კატაკლიზმებისა და მოვლენების ფონზე, თამთა მხარგრძელი, სირთულეების მიუხედავად, ხლათის სასულთნოდან მაინც ახერხებდა საქართველოს სამეფოსა და მონღოლთა იმპერიის ქალ მმართველებთან სტაბილურ, მისთვის მომგებიან ურთიერთობების დამყარებას, საკუთარი პრესტიჟისა და გავლენის ზრდას. ყოველივე ეს მიუთითებს ილხანთა მონღოლურ სახელმწიფოში გენდერული პოლიტიკის მიმართ დადებით

მიმღებლობასა და ქალების როლისა და მნიშნელობის ძირეულ აღმავლობაზე (მაგ: ტოღუზ-ხათუნი,ტერკან-ხათუნი და სხვ.).

მსჯელობა

XIII საუკუნის დასაწყისში, 1208-1210 წლებში, საქართველოს სამეფოს ათაბაგ-ამირსპასალარი ივანე მხარგრძელი ტყვედ ჩაუვარდა ხლათის სულთანს. ტყვეობისგან თავის დასაღწევად ივანე ათაბაგმა სულთანს ცოლად თავისი ასული თამთა მიათხოვა. ამ ისტორიის შესახებ XIII საუკუნის სომხურ და სპარსულ ისტორიულ წყაროებში მწირი ცნობებია დაცული. ესენია: R. Bedrossian (1986), Kirakos Gandzakets'i's History of the Armenians, ნ. შოშიაშვილი (1961), აკანელი გრიგოლ, **მოისართა ტომის ისტორია,** რ. კიკნაძე (1974), **ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ**. მიუხედავად ამისა, ზემოხსენებული ისტორიკოსები: კირაკოს განძაკეცი, გრიგოლ აკანელი და ალა ადდინ ათა მალიქ ჯუვეინი ვრცლად აღწერენ აღნიშნული ეპოქის, საქართველოს სამეფოს, სომხეთის, ხლათის სასულთნოსა და მახლობელი აღმოსავლეთის თურქო-მონღოლური ხალხების სამხედრო-პოლიტიკურ და სტრატეგიულ ურთიერთობებს. თანამედროვე ისტორიოგრაფიაში თამთა მხარგრძელის პიროვნების შესახებ გადმოგვცემენ სხვადასხვა ავტორები (მაგ: „საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII საუკუნეების პირველ მესამედში“-ავტ. გოჩა ჯაფარიძე, „Tamtas World', The Life And Encounters Of A Medieval Noblewoman From The Middle East To Mongolia“-Antony Eastmond და სხვ.). მივყვეთ წყაროებს და აღვწეროთ ის პოლიტიკური ვითარება, რომელიც ივანე მხარგრძელის ხლათის სასულთნოში ტყვედ ჩავარდნას მოჰყვა. გოჩა ჯაფარიძის ზემონახსენები მონოგრაფიის მიხედვით: „ჩვეულებრივ მიუთითებენ, რომ ვარსკვლავთმრიცხველმა დილით უწინასწარმეტყველა ივანეს (რომელსაც არაბული წყაროები ქართველთა მალიქსაც უწოდებ-

დნენ), რომ დაახლოებით საღამოსწინა ლოცვის მოწოდების (აზან ალ-'ასრ) დროს ხლათში შევიდოდა, ღამეს ხლათში გაატარებდა და ხლათის ტახტზე დაჯდებოდა, თუმცა იმ სამოსით კი არა, რომელიც მას ემოსა. ამ წინასწარმეტყველებით გახარებულმა მხარგრძელმა ღვინო დალია და გათამამებული ოციოდე მხედრით ხლათისკენ-არჭეშის კარიბჭისკენ გაემართა. მოულოდნელად მისმა ცხენმა წაიფორხილა. ზოგიერთი ცნობით, ცხენს ფეხი ხლათელების მიერ საგანგებოდ გათხრილ და შენიღბულ ორმოში ჩაუვარდა, ანდა ეს ამბავი ხიდზე მოხდა, რომელიც ხლათელებს განგებ ჩაემტვრიათ" (ჯაფარიძე, 1995: 168). აღნიშნული ისტორია 1210 წლით თარიღდება, ქართულ-სომხური ქრისტიანული არმიის მეთაური, ივანე მხარგრძელი, ხლათის მუსლიმანმა მეციხოვნეებმა ციხეში ტყვედ აიყვანეს, ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, რომელიც ახლა აღმოსავლეთ თურქეთს ეკუთვნის. აიუბიანთა სულთანმა სალადინმა ვერ მოახერხა ხლათში გაბატონება, მაგრამ მის მემკვიდრეთა აგრესიულ გეგმებში ხლათმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა. ამიტომ „საქართველოსა და აიუბიანთა უშუალო შეხების ერთადერთი წერტილი იყო ხლათის ქვეყანა და მეტოქეობის მთავარი ობიექტი - თავად ხლათი" (გუჩუა, ანჯაფარიძე, 1979: 345).

ივანეს დატყვევება, აიუბიანთათვის დიდი და მოულოდნელი საჩუქარი იყო. ალ-ავჰადს ხლათის ხსნის იმედი აღარ ჰქონდა. სულთანი ალ'ადილი ჯვაროსნებთან ომით იყო დაკავებული და ვაჟისთვის დახმარების აღმოჩენა არ შეეძლო (აბუ შამა, 1974: 169). ახლა კი ვითარება ერთბაშად შეიცვალა. სულთანმა ბრძანა, რომ ქართველთა მხედართმთავარი მისთვის მიეგვარათ, მაგრამ საქმეში ჩაერია ზაქარია მხარგრძელი, რომელიც დაემუქრა ხლათელებს: გამოუშვით ჩემი ძმა, თორემ დაღუპვა არ აგცდებათ, თქვენი ქვეყნის მიწას საქართველოში წავაღებინებ

და აქაურობას გავაუდაბურებო. „შეშინებულ ხლათელებს აღარ გაუგზავნიათ ივანე ალ'ადილთან“ (Ханларян, 1976: 119). „ალ-ავჰადმა ქართველთა წარმომადგენლებს უხმო, რათა ისინი დარწმუნებულიყვნენ ივანე მხარგრძელის უსაფრთხოებაში და მოითხოვა რომ ქართველები გასცლოდნენ ხლათს“ (აბუ შამა, 1974:170). ივანე მხარგრძელის დატყვევებამ, მომდევნო წლებში დიდი ზეგავლენა მოახდინა მისი ასულის თამთას ცხოვრებაზე. თამთა, ივანე ათაბაგის მიერ ხლათის სულთანთან დიპლომატიური მოპალარაკებების დროს, სულთნის ჯილდო გახდა, როდესაც ეს უკანასკნელი თამთას ცოლად ძალდატანებით ირთავს, როგორც გამოსასყიდს ივანეს ტყვეობიდან გათავისუფლების სანაცვლოდ. თამთა ალ-ავჰადზე, ხლათის მმართველზე დაქორწინდა, რომელიც აიუბიანთა სულთნის სალადინის ძმისშვილი გახლდათ.

შუა საუკუნეებში ქალების როლი ისტორიაში ნაკლებად ცნობილია. ისტორიულ წყაროებში თამთა მხარგრძელის მცირედი ჩართულობა კი საკმარის ინფორმაციას იძლევა ქალების ისტორიის გადმოსაცემად.

თამთას ბედი ხლათის სასულთნოში თავდაპირველად საკმაოდ მძიმე იყო. ივანე მხარგრძელის გამოსასყიდი მართლაც რომ საკმაოდ მაღალი გახლდათ: „ქართველებმა ფიცი დადეს ოცდაათ წლიან მშვიდობაზე, რომ აღარ წამოიწყებდნენ ახალ ომს სამხრეთში მუსლიმების წინააღმდეგ, დააბრუნებდნენ დაპყრობილ ციხესიმაგრეებს, გაათავისუფლებდნენ 2 ან 5 000 მუსლიმ ტყვეს, ხლათის სულთანს გადასცემდნენ 21 ციხეს და გადაიხდიდნენ 100 000 დინარს (სხვა მონაცემებით 80 ან 200 ათასი დინარი)“ (Abu'l-F'ed'a,, 1872: 85; აბუ შამა, 1974: 75). საბოლოო მოთხოვნა კი თამთას ხლათის სულთნისთვის, ალ-ავჰადისთვის, მითხოვება იყო, რაც ყველაზე ძვირი გამოსასყიდი გახლდათ.

მეთორმეტე საუკუნეში ქალაქი ხლათი დამოუკიდებელ თურქულ ემირატს წარმოადგენდა და იმართებოდა მუსლიმი ემირის მიერ, რომელმაც მათ უწყალობა შაჰ-არმენის (სომეხთა მეფის) ტიტული. თუმცა, სანამ ივანე მხარგრძელი ტყვედ ჩავარდებოდა, ქალაქში შინაურ მტრებს შორის დაპირისპირებამ იჩინა თავი. შაჰ-არმენთა უკანასკნელი დინასტიის წარმომადგენელმა, ბეგ-თემურის უსახელო ვაჟმა, ადგილობრივები ქალაქიდან იძულებით გაასახლა.

თამთას ხლათში გამოჩენა დაემთხვა ახალი ძალის შემოსვლას ანატოლიასა და კავკასიაში. აღმოსავლეთიდან მოვიდნენ ხვარაზმელები, თურქულ-სპარსული მოდგმის ხალხი, შუა და ცენტრალური აზიიდან, რომლებიც დაფუძნებული იყვნენ არალის ზღვის სამხრეთ რეგიონში (თანამედროვე თურქმენეთი და უზბეკეთი). მონღოლთა გაფართოების პირველმა ფაზამ 1220-1221 წლებში აიძულა ისინი უკან დაეხიათ, დასავლეთში, სადაც ხვარაზმ შაჰ ჯალალ ად-დინ მანგუბერტმა თავისი სამეფო მოაწყო (ირანში, აზერბაიჯანსა და კავკასიაში). ხვარაზმშაჰის შეჭრა აღმოსავლეთ ანატოლიაში დაიწყო 1225 წელს, როდესაც ჯალალ ად-დინი თავრიზიდან დაიძრა. ეს იყო შემოსევა, რომელმაც თამთას მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. 1225 წელს გარნისის ბრძოლაში საქართველოს სამეფოს არმია ჯალალ ად-დინმა დაამარცხა. ამის შემდეგ ხვარაზმშაჰმა მოახერხა ძალაუფლების ხელში ჩაგდება და სამხრეთ კავკასიაში გაბატონება. ივანემ სათანადოდ ვერ შეაფასა სულთნის ძალა, მტრის რიცხოვნებამ თავისი გაიტანა. ქართველი მემატიანის ჟამთააღმწერლის თანახმად, ივანე მხარგრძელმა ჯარი არ დაახმარა ძმებს შალვა და ივანე ახალციხელებს, რომლებიც ქართველთა მეწინავე ფრთას მეთაურობდნენ და სწორედ ამიტომ საქართველოს სამეფოს ლაშქარი დამარცხდა და განადგურდა.

თამთა მხარგრძელის მოღვაწეობა ხლათის სასულთნოში ხშირი ცვლილებებით გამოირჩეოდა. 1225 წელს, თამთა ალიაბადის ციხის მეთაურად იყო მიჩნეული; „ეს ის ქალაქია, სადაც ჯალალ ად-დინმა ჩაიარა და ციხის არ აღებით დაზოგა თავისი ძალები, რადგან მიზნად საქართველოს დედაქალაქის თბილისის აღებას ისახავდა“ (კიკნაძე, 1974: 30) (Boyle, 1958: 430-431). ციხესიმაგრე, სავარაუდოდ, თანამედროვე სომხეთსა და აზერბაიჯანის საზღვრებთან მდებარეობდ (კიკნაძე, 1974: 31). ამ პერიოდში თამთა ჯერ კიდევ სომხეთში თავისი ოჯახის პოლიტიკური საქმეებით იყო დაკავებული. 1230 წლის 14 აპრილს, იგი კვლავ ხლათში იყო, როდესაც ქალაქი ჯალალ ად-დინმა საბოლოოდ ხელში ჩაიგდო. სამი ან სამ წელზე მეტი ქალაქის აღებას დასჭირდა, მისი პირველი ცდის შემდეგ, 1226 წლის ნოემბერში, როდესაც ჰაჯიბ ჰუსეიმ ალდინ ალიმ იგი მოიგერია. ალყა ხანგრძლივი და სასტიკი იყო: „ხლათში მცხოვრები ადამიანები ჭამდნენ ცხვრებს, შემდეგ პირუტყვს, ხარებს, ცხენებს, ვირებს, ჯორებს, ძაღლებსა და კატებს. ისინი ვირთხებს იჭერდნენ და ჭამდნენ“ (Richards, 2005:298). ხლათის სასულთნოს დამცველები ისეთ სიმტკიცეს იჩენდნენ, როგორიც სხვას არავის. ჯალალ ად-დინი ხლათს თავს დაესხა საალყო მანქანებით და ქალაქს უზარმაზარი ზიანი მიაყენა.

1230-1231 წლების შემდეგ, მონღოლთა შემოტევები 6 წლით შეწყდა, რის შემდეგაც ისინი მუდმივი ძალებით უკან დაბრუნდნენ. მშვიდობის 6 წლიანი მონაკვეთი ხლათის სასულთნოში კვლავ მტრობით შეიცვალა, ადგილობრივთა დაპირისპირებები კვლავ განახლდა. ამ დროს ქალაქი დაპყრობილი იყო სელჩუკთა სულთნის ქაი-ყუბად I-ის მიერ, რომლის ფარვანე (მთავარი მინისტრი), კამიარი, ჯალალ ად-დინის გარდაცვალების შემდეგ მალე ხლათის სასულთნოს მფლობელი გახდა.

1229 წელს, სულთნის ძმის ალ-მუზაამის სიკვდილის შემდეგ, ალ-აშრაფმა წარმატებით აიღო დამასკო, აიუბიდების დინასტიის სასულიერო ცენტრი. „მან ქალაქი მიიღო ალ-მუზაამის მემკვიდრის ალ-ნასირ დავუდისგან, მაგრამ მოუხდა დაეთმო თავისი მიწები ჯაზირაში, რათა მთლიანობაში თავისი ოჯახის სიმტკიცე შეენარჩუნებინა“ (Humphreys, 1977:193). მან გააგრძელა კონტროლი ხლათზე, მაგრამ ეს ტერიტორია იზოლირებული იყო მისი მთავარი სამიწათმოქმედო ტერიტორიიდან, და ალ-აშრაფს არანაირი შესაძლებლობა არ ჰქონდა მისი ხელმეორედ დაპყრობის, მას შემდეგ რაც ქალაქი თურქ-სელჩუკების მიერ იქნა დაცემული. ამიერიდან, 1237 წლამდე, მის სიკვდილამდე, ხლათის სულთნის ძალ-ღონე მიმართული იყო სირიის დედაქალაქზე.

კირაკოს განძაკეცის თანახმად, თამთა აქტიურად ერეოდა ხლათის სასულთნოს საშინაო პოლიტიკაში. მან შეუმცირა გადასახადები და მხარდაჭერა გამოუცხადა პილიგრიმებს. ამ პერიოდში თამთას ჰქონდა გარკვეული გავლენა და უპირატესობა ხლათში მცხოვრების მოსახლეობის თვალში (Bedrossyan, 1986: 46). ადგილობრივმა მაჰმადიანებმა თავიანთი ბატონობის ქვეშ მყოფებს უბრძანეს, რომ არ გაეძარცვათ და შეეწუხებინათ იერუსალიმში მიმავალი მოგზაურები, რაც საკუთრივ თამთა მხარგრძელის ძალაუფლებისა და გავლენის დამსახურებით მოხდა. თამთას, როგორც სულთნის პირადი წარმომადგენლის, ხლათში დასაქმება, ალ-აშრაფის გონივრული პოლიტიკის შედეგი იყო. მას შეეძლო ემოქმედა, როგორც შუამავალს ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის ურთიერთობების მოწესრიგების კუთხით.

1220-იან წლებში ხლათის დანიშნული მმართველი გახლდათ ალ-აშრაფის ეჯიბი (ხაზინადარი) ჰუსამ ალ დინ - ალი (Ward, 2004:345). მიუხედავად იმისა რომ ხაჯიბი ერთგული იყო და ქალაქ ხლათის დაცვაში ხვარაზმელების შემოსევების დროს

1226-1229 წლებს შორის წარმატებებს მიაღწია, უხეშად ჩამოშორდა აიუბიდების კლანს. 1229 წელს, სანამ ალ დინ-ალი დამასკოს აიღებდა, სულთანმა ბრძანა მისი სიკვდილით დასჯა. ამ ეპოქის თანამედროვე საისტორიო ქრონიკები გვამცნობენ, რომ ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი იყო და ჰუსამ ალ-დინის სულთნისადმი ერთგულება ეჭვს არ იწვევდა. როგორიც არ უნდა იყოს ეჯიბის დასჯის ნამდვილი მიზეზი, სავარაუდოა, რომ ხლათის სულთანი ძალაუფლებისთვის ბრძოლის ნიადაგზე, მასში საფრთხეს ხედავდა და შესაძლოა, რომ სწორედ ამიტომ ჩამოიშორეს აიუბიდებმა მათი ერთგული ეჯიბი (Humphreys, 1977: 216).

მონღოლთა მიერ თამთას დატყვევების გარემოებები ნათელია, მაგრამ, როგორც ჩანს, ის ჯერ კიდევ თავის ძმასთან, ავაგთან, იმყოფებოდა, ჩრდილოეთ სომხეთში, ხაჩენის ციხესიმაგრეში. ნაკლებად დამაჯერებელია ის ფაქტი, რომ თამთა მხარგრძელი ჯერ კიდევ ხლათში ყოფილიყო, მაშინ როდესაც, ხლათი მონღოლებმა დაიპყრეს 1245 წელს. 1236 წელს ციხესიმაგრე ხაჩენი მონღოლთა მხედართმთავრის ჩორმაღანის მიერ იყო ალყაშემორტყმული, რომელიც კავკასიაში დაბრუნდა, მაგრამ ახლა უფრო მეტად დიდი და ძლიერი არმიით. იგი მუდმივად მიემართებოდა რეგიონის დასაპყრობად. ავაგს არ შეეძლო ალყის გაძლება და სწრაფად დანებდა მონღოლებს, ამ უკანასკნელთ კი თავისი და გადასცა. თამთა კიდევ ერთხელ აღმოჩნდა ტყვეობაში.

ამ დროიდან თამთა მხარგრძელის ცხოვრებაში ახალი პერიოდი დაიწყო. ჩორმაღან ნოინმა იგი გააგზავნა ცენტრალურ საყაენოში, ყარაყორუმში, 5 000 კმ-ით დაშორებულ აზიის სტეპებში. თამთა მხარგრძელი მონღოლთა ყაენის კარზე მაშინ აღმოჩნდა, როდესაც ხლათის სასულთნოში მმართველობა საბოლოოდ შეიცვალა. 1243 წლის 3 ივლისს, ქოსე-დაღის ბრძოლამ,

სელჩუკები, ქართველები და სომხები, მონღოლებთან საყოველთაო მარცხის წინაშე დააყენა. ამის შედეგად მონღოლებმა ხელში ჩაიგდეს სელჩუკთა სახელმწიფოს მართვის სტრუქტურა და რამდენიმე წელიწადში იქ მარიონეტი სულთნები დასვეს. მონღოლები სელჩუკთა ქალაქებს სრულად აკონტროლებდნენ.

9 წლის შემდეგ, თამთა ხლათში დაბრუნდა, აქ მას განსხვავებული პოლიტიკური სისტემა დახვდა. თამთას მონღოლეთში მოგზაურობის შესახებ ისტორიული წყაროები ინფორმაციას არ გვაწვდიან, მაგრამ ვიცით, რომ ის იმჟამად იქ იყო, რადგან საქართველოს ახალმა მეფემ, რუსუდანმა ითხოვა მისი დაბრუნება. მან მონღოლთა ცენტრალურ საყაენოში ელჩად დიდებული ჰამადოლა გაგზავნა. ელჩის უკან დაბრუნებისას კი ჰამადოლამ ყაენს თამთას უკან დაბრუნება მოსთხოვა. მონღოლთა მბრძანებელმა თამთა ელჩს გაატანა (Bedrossyan,1986:145). თამთა მხარგრძელი, როგორც ალ მალიქ-ალ აშრაფის მეუღლე, ხლათში უკან დააბრუნეს. ყაენის ბრძანებით თამთას გადასცეს ხლათი და მისი მიმდებარე ტერიტორიები.

საქართველოს მეფე რუსუდანს თამთას უკან დაბრუნება შთააგონა ავაგ მხარგრძელმა, რომელიც უკვე საქართველოს სამეფოს ათაბაგი გახლდათ და მონღოლთა შემოსევის პირველ ათწლეულში ქართულ ძალებს მეთაურობდა. თამთას ცხოვრება სრულიად შეიცვალა, იგი ხლათში, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, როგორც მმართველი, კვლავ დაბრუნდა. თამთა, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურა, ქალაქს მონღოლი მმართველების სახელით მართავდა. იგი, თავისი წოდებით, საქართველოს მეფეს, ტრაპიზონის იმპერატორს, სელჩუკთა სულთანს და სხვა მახლობელი ქვეყნების მმართველებს უტოლდებოდა. ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ, თამთა ანატოლიისა და კავკასიის პოლიტიკას დაუბრუნდა. თამთა მხარგრძელს სიკვდილამდე ჰქონდა გავლენა ხლათში. მონღო-

ლებმა თამთას სტატუსი და პოზიცია ხლათში დაადასტურეს, მაგრამ ბოლო წლებში ეს არც თუ ისე ადვილი იყო იმ ხალხისთვის, რომელიც მონღოლთა ვასალად ითვლებოდა. მონღოლთა მჩაგვრელი პოლიტიკა ადგილობრივი მოსახლეობისადმი მძიმე აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, თამთას პოზიცია და თანამდებობა ადგილობრივი მოსახლეობის თვალში საკმაოდ მიუღებელი და არაპოპულარული გახდა: თუ მანამდე, თამთა, გადასახადების შემამცირებლის სახელით იყო ცნობილი, ახლა მას უნდა შეესრულებინა მონღოლთა მჩაგვრელი მოთხოვნები ფულის, საქონლისა და ხარკის აკრეფის შესახებ.

მონღოლებთან ბრძოლის პერიოდში ქართველი და სომეხი დიდებულები საბოლოოდ მონღოლების ვასალებად იქცნენ, მათ ევალებოდათ საკუთარ მიწებზე წესრიგის დაცვა და გადასახადების აკრეფა. ეს გადასახადები ეფუძნებოდა მონღოლთა აღწერებს, მათ მოახერხეს და მალევე ამ ტერიტორიებზე კონტროლი მოიპოვეს. აღწერა ჩატარდა რუმის სელჩუკთა სასულთნოში, მისი აღებისთანავე 1243 წელს. ამას მოჰყვა მეორე მთავარი აღწერა. XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის გრიგოლ აკანელის თანახმად: „თითეული აღრიცხული კაცისგან დამპყრობლები იღებდნენ 60 თეთრს. ვინც ხარკს არ გადაიხდიდა, სცემდნენ და აწამებდნენ, ბავშვებს ართმევდნენ“ (შოშიაშვილი, 1961:127). მონღოლთა აღწერის თარიღს გრიგოლ აკანელი გულისხმობს კალიის გაჩენიდან ერთი, ან ორი წლის შემდეგ (ე. ი. 1252--53 წელს). ვარდანი ათარიღებს აღწერას 1253 წლით, ხოლო კირაკოს განძაკეცი, სტეფანოს ორბელიანი, ანონიმი სებასტიელი და სტეფანოს ეპისკობოსი 1254 წლით. მოისართა ტომის ისტორიის მიხედვით, მამაკაცებს ევალებოდათ 60 სპიტაკი (ასპერსი) თავის გადახდა; ვინც ნადავლს არ გადაიხდიდა, სასტიკად დაისჯებოდა, შემდეგ კი მათ ძაღლებს ცოცხლად შეაჭმევდნენ. ამ გადასახადის სიმძიმე კალიების გროვით გამოწვეულ განადგურებასთან

იყო შედარებული. კირაკოს განძაკეცის ცნობით: „701--702 (1252-1253) წლებში სომეხთა ქვეყნებში სპარსეთიდან, მოვიდა კალია, რომელმაც შეჭამა ყველა ერი, ღმერთმა კი მოავლინა ჩიტები, რომლებმაც შეჭამეს კალიები“ (შოშიაშვილი, 1961: 128). ჰულაგუ ყაენის ბრძანებით გაიზარდა გადასახადები.

გადასახადების მოსაწოდებლად ადგილობრივ მმართველებს ზარაფხანების ხელახლა დაარსება სჭირდებოდათ. თამთა მხარგრძელი მონღოლებმა ხლათიდან ტყვედ სავარაუდოდ 1236 -1240 წლებში აიყვანეს და ცენტრალურ საყაენოში, ყარაყორუმში წაიყვანეს. იგი ტყვეობაში 5-დან 9-წლამდე იმყოფებოდა. ვფიქრობთ, თამთა მხარგრძელის მონღოლთა ყაენის კარზე ცხოვრების წლები მას იმ რთული და დამღლელი პროცესების ფონზე უხდებოდა, რაც მონღოლების მიერ ხლათის სასულთნოდან მისი წაყვანის შემდეგ ამ უკანასკნელთათვის დაიწყო. რთულია, ვისაუბროთ თამთას ადგილობრივ მონღოლ პოლიტიკურ ელიტასთან ურთიერთობის შესახებ, რადგან ცხოვრების ამ ახალ პერიოდში თამთამ ნომადურ-მომთაბარე ხალხის გვერდით თავისი მოღვაწეობის გარკვეული დრო გაატარა და სავარაუდოა, რომ პოლიტიკასა და დიპლომატიაში მან ბევრი რამ კიდევ უფრო მეტად ისწავლა და შეითვისა. 1245 წლიდან ხლათის სასულთნოში მოჭრილი მონეტები მიუთითებს იმაზე, რომ მონეტების მოჭრა თამთას ქალაქში დაბრუნების შემდეგ მთავარი საზრუნავი იყო. მან ცხენოსანი მეომრის გამოსახულებით მონეტა მოჭრა, რომელსაც უკანა მხარეს მშვილდ-ისარი ჰქონდა. რიგი არაბული წარწერები ასახელებენ თავის მონღოლ ბატონს დაადიდებენ ალაჰს (Vardanyan, 2007:191).

ხლათის სასულთნოში გადასახადების აკრეფა დაევალათ ადგილობრივ მთავრებს, მათ შორის თამთას. მათი მოვალეობა იყო ფულისა და საქონლის შეგროვება და მათი მონღოლებისთვის გადაცემის უზრუნველყოფა. ამ ყველაფერმა კი არისტოკრ-

ატებსა და ხლათის მთავარს შორის დაპირისპირება შეამცირა. მიგვაჩნია, რომ თუ თამთას ხლათში არ ყოფნის დროიდან მრავალი წელი იყო გასული, დაბრუნების შემდეგ მას შეეძლო კვლავ დაახლოვებოდა იმ ხალხს, რომელსაც ის მართავდა, როგორც ქრისტიანი. თამთას შეეძლო წარსულის მსგავსად მათთან ჰარმონიული და ახლო ურთიერთობა ჰქონოდა და შესაბამისად ეშუამავლა ადგილობრივ ქრისტიანებსა და მაჰმადიან მთავრებს შორის. თუმცა ადგილობრივი თავადაზნაურობა თამთა მხარგრძელისგან ახლა უკვე საპირისპიროს მოითხოვდა და თამთას მთავრის როლისგან განცალკევებას ცდილობდა. ხალხი ხვდებოდა, რომ ბევრი დიდებული ცდილობდა გამოეყენებინა გამდიდრების შესაძლებლობა. კირაკოს განძაკეცი, ვერ ურიგდებოდა არსებულ მდგომარეობას, იგი წერდა: „უფრო მეტიც, მთავრები და ოლქების მბრძანებლები, მონღოლებთან თანამშრომლობდნენ და საკუთარი მოგებისთვის ერთად ავიწროებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას“ (Bedrossyan, 1986:175). თავადაზნაურობა მონღოლთა მიერ მათ დაბეგრვამდე აგროვებდა გადასახადებს საკუთარი თავის გადასარჩენად და გადასახადების გაზრდილმა დონემ მათი პირადი ინტერესები აშკარად წარმოაჩინა.

მეცამეტე საუკუნეში მონღოლთა მიერ მოსახლეობის დაბეგვრა არ იყო მხოლოდ ცალმხრივი მოვლენა. გადასახადების აკრეფა ერთადერთი საშუალება იყო ეკონომიკური სიმდიდრის მოსაპოვებლად. ამ ყველაფრის შედეგად, დამპყრობების მიერ სომხეთის საწყისი დაპყრობები დასრულდა 1230-იანი წლების ბოლოს. მონღოლებმა დაიწყეს აღდგენა საზოგადოებისა, რომელიც მათ ახლახან გაანადგურეს თავიანთი ეკონომიკის უზრუნველსაყოფად, მათ მიერ დაწესებული გადასახადის საფუძველზე. ანისის და ყარსის გაძარცვისთანავე, მათ, ვინც გადარჩა (და თავი აარიდა ტყვეობას) დაბრუნების უფლება მიეცა თავიანთი თავშესაფრების, სოფლებისა და ქალაქების აღსადგენად.

თუმცა მათ აღარ ჰქონდათ ტანსაცმელი, საცხოვრებელი სახლები, და ხარები, მიწის დასამუშავებლად. საბედნიეროდ, მათ ჰქონდათ თბილი ზამთარი და საკმარისი ველური მარცვლეული, იმისთვის რომ მომავალ გაზაფხულამდე თავი შეენახათ (შოშიაშვილი, 1961:129).

მონღოლთა შემოსევებიდან თამთა უკან დაბრუნდა საქართველოსა და სომხეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში იმ ათწლეულების შემდეგ, რომელიც მან გაატარა ტყვეობაში ყოფნის დროს. ამ წლებში ის თითქმის რჩებოდა ხლათში და მჭიდროდ იყო დაკავშირებული სომხეთის ფართო მოსახლეობასთან, მაგრამ არ ჩანს, თამთას აქტიური როლი მშობლიური ქვეყნის საქართველოს სამეფოს პოლიტიკაში. სიცოცხლის ბოლო წლებში თამთა მხარგრძელი ხლათში ერთხელ დაბრუნდა, როგორც ადგილობრივი რეგიონის მონღოლი მმართველი და უფრო მეტად ჩაერთო ხლათის საშინაო პოლიტიკაში. მთელი ცხოვრების განმავლობაში, თამთას შესაძლებლობა ჰქონდა ხელახლა ჩარეულიყო ქართული სახელმწიფოს მართვის პროცესში, თუმცა მას ამის საშუალებას საკუთარი სტატუსი და გენდერი არ აძლევდა. ამის თავიდან ასაცილებლად კი მას დასაყრდენის, კერძოდ, კი მამაკაცის პოვნა სჭირდებოდა. კირაკოს განძაკეცის თანახმად, თამთა მხარგრძელმა იპოვა პერსპექტიული კანდიდატი: ძმის ავაგის უკანონო შვილი. ავაგს არ ჰყავდა კანონიერი მემკვიდრე: მას ჰყავდა ქალიშვილი ხვაშაქი ცოლ გონცასთან (ქართულად გუანცა; იგი იყო რაჭის კახაბერიძეების გვარის დიდგვაროვანი დასავლეთ საქართველოში), მაგრამ მას სხვასთან ჰყავდა უკანონო ვაჟი, უცნობი ქალისგან (ანთელავა, შოშიაშვილი, 1996: 351). ავაგი გარდაიცვალა 1250 წელს, იგი დაკრძალეს ახტალაში, მამის, ივანე მხარგრძელის გვერდით. თუმცა მას სამკვიდრო ჩამოართვეს და იგი გადაეცა მის ბიძაშვილს ზაქარია მხარგრძელს. თამთამ თავისი ძმისშვილი, უკანონო ვაჟი, აღსაზრდ-

ელად წაიყვანა ხლათში. სავარაუდოდ, იგი იმედოვნებდა, რომ ის საბოლოოდ დაიმკვიდრებდა ავაგის მიწებს, ისევე როგორც გიორგი IV-ის უკანონო ვაჟი, დავით VII ულუ, რომელიც ავაგის მიერ მონღოლთა მეთაურობით საქართველოს ტახტზე აიყვანეს. თამთა მხარგრძელი გახლდათ ძლიერი კანდიდატი სამეფო კარზე არსებული იმ ჭორების გასაქარწყლებლად, რომელიც ავაგის გარდაცვალების შემდეგ, მისი ვაჟის შესახებ გავრცელდა. ვაჟი ფაქტობრივად, ავაგ მხარგრძელის კანონიერი მემკვიდრე იყო. საბოლოოდ თამთას იმედებს ახდენა არ ეწერა, რადგან გამოუჩნდა მოწინააღმდეგე, რომელსაც მის მსგავსად დიდი ამბიციები ჰქონდა: ავაგის ქვრივი, რძალი გვანცა (Conrad, 2012: 173). ავაგის გარდაცვალების შემდეგ გვანცას ავაგის საგანმგებლო მიწა ჩამოერთვა და, მიუხედავად იმისა, რომ მას საკუთარი მამრობითი სქესის მემკვიდრე არ ჰყავდა, გვანცამ მაინც შეძლო ძალაუფლებისთვის ბრძოლა. მან მოახერხა ზაქარია მხარგრძელის მიწებიდან ავაგის მემკვიდრეობის დაბრუნება და ამ ტერიტორიების მართვა (Aug'e, 2012: 173).

თამთას ხლათის მმართველად დაბრუნებამ, განაპირობა მისი ძმისშვილის ხვაშაქის პოლიტიკაში ჩართვა და შესაბამისად გარდაცვლილი ავაგ მხარგრძელის მეუღლის, გვანცას, პოლიტიკური წონის აწევა, რაც მომავალი თაობის გენდერული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ცვლილების მაგალითებია მონღოლთა დაპყრობების შემდეგ (Eastmond, 2018:380). ეს ნაწილობრივ უნდა აიხსნას იმ განსხვავებული დამოკიდებულებით, რომელიც მონღოლებს ქალებისა და ძალაუფლების მიმართ ჰქონდათ. ცვლილება არა მხოლოდ ზოგად დონეზე, არამედ თამთას გათავისუფლების ზუსტ ვითარებაშიც ჩანს. კულტურული მონღოლური სამყაროს ტრადიციები ქალებს გაცილებით მაღალ სტატუსს ანიჭებდა და, შესაბამისად, მათ ჰქონდათ დამოუკიდებელი ძალაუფლება, (მონღოლთაგან დაპყრობილ ქვეყნებში

მცხოვრებ სამეფო ქალებთან შედარებით). ქალები, რომლებიც დაქორწინდნენ, ჩინგიზ-ხანის ოჯახში ნათესავებთან ერთად მნიშვნელოვანი უფლებებით გამოირჩეოდნენ. თითოეულმა მოაწყო საკუთარი ორდო (სასამართლო), მათ ჰქონდათ სიმდიდრე: მრავალი კარავი, გადაადგილდებოდნენ ორასამდე ურმით, რომელთაგან ზოგს ოცდაორი ხარი სჭირდებოდა (ქიქოძე, 1942: 154). ქალები თავად განკარგავდნენ ქონებას, მისდევდნენ ვაჭრობას. მათი გარდაცვალების შემდეგ ეს ყოველივე სხვა ქალებს გადაეცემოდათ (De Nicola, 2011: 146); მათ შეეძლოთ ემართათ ჯარი და ებრძოლათ კიდეც; შეეძლოთ განესაზღვრათ საკუთარი რწმენა და განათლება მიეცათ შვილებისთვის (Allsen, 2001:30). ტორეგენე ხათუნი, მონღოლეთის დე ფაქტო მმართველი გახლდათ თამთას ტყვეობის დროს. იგი, ამ ქალებს შორის ყველაზე დაუნდობელი იყო. კირაკოს განძაკეცი მას უწოდებს ტოღუს ხათუნს, ვარდანი-ტოღუზ ხათუნს, რაშიდ-ედ-დინი დოქუზ ხათუნს (შოშიაშვილი, 1961:214). 1241 წელს, ქმრის უგედეი-ხანის გარდაცვალების შემდეგ, მან აიღო მმართველობა მანამ, სანამ მემკვიდრე არ გაჩნდა და ის არ აირჩიეს. მისი ვაჟი, გუიუქი, ძალიან ახალგაზრდა იყო, მამის ნაცვლად ტორეგენმა მონღოლთა საყაენოს მართვა ხუთი წლის განმავლობაში თავად იკისრა, იმ დრომდე, სანამ ახალ ყაენს გუიუქის ყურულთაიზე არ აირჩევდნენ (კიკნაძე, 1974: 22).

თამთა მხარგრძელის უკან ხლათში დაბრუნება მონღოლეთში ქალების ძალაუფლების ნამდვილი მაგალითი გახლდათ. თამთა მონღოლთა რეჟიმის ქვეშ მრავალი წელი ცხოვრობდა, მანამ სანამ 1254 წელს, იგი გარდაიცვლებოდა.

დასკვნა

ჩვენ ვეთანხმებით ქართველი და უცხოელი მკვლევრების მოსაზრებებს და მიგვაჩნია, რომ თამთა მხარგრძელი ხლათის სასულთნოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის წამმართველი ერ-

თგვარი წარმატებული ფიგურა იყო. თამთა, მიუხედავად ლოკალური და საერთაშორისო გამოწვევებისა, მაინც ახერხებდა პოლიტიკურად საკუთარი შინაგანი მრწამსის დაცვას და ადგილობრივი დიდებულების, მთავრებისა და მოსახლეობის ინტერესების დაკმაყოფილებას. ამასთანავე, დამპყრობელი მონღოლური ელიტის სივრცეში ანგარიშგასაწევი პოზიციის დაუფლებას. ყოველივე ეს, XIII საუკუნეში ხლათის სასულთნოსა და მონღოლურ სახელმწიფოებში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვითარებიდან გამომდინარე, საკმაოდ რთულად მისაღწევი იყო. ზემონახსენები ამტკიცებს თამთა მხარგრძელის, როგორც პოლიტიკოსის, ქრისტიანობის დამცველის, მუსლიმი მმართველების ღირსეული მეუღლის, ქვეყნისა და ოჯახის ინტერესებისთვის თავგანწირულისა და დიპლომატის როლს მახლობელ კავკასიასა და წინა აზიაში. ვფიქრობთ, თამთა მხარგრძელის, როგორც რჯულით ქრისტიანი ქართველი ქალის მახლობელ აღმოსავლეთში მოღვაწეობა, მისი ერთგვარი პოლიტიკური გარდასახვა იყო, ქართული პოლიტიკური რეალობიდან ფართო გამოწვევებით, უნდობლობითა და სირთულეებით სავსე ისლამურ სამყაროში, რომელიც ხანგრძლივ და საკმაოდ რთულ პროცესებთან ასოცირდებოდა. სწორედ რომ თავისი მტკიცე ხასიათითა და შინაგანი ძლიერებით, პრინციპულობით, თამთა მხარგრძელმა მოახერხა პოლიტიკურ ასპარეზზე საკუთარი კვალის დატოვება და XIII საუკუნის წინა აზიაში არსებულ გეოპოლიტიკურ და ისტორიულ კატაკლიზმებთან გამკლავება.

გამოყენებული ლიტერატურა:

Abu Shama (1974). Tarajim Rijal al- Qarnayn as-Saadi wa s-Sabi al-Ma'ruf bi-Dhail 'ala Rawdatain. Li Shihab ad Din-Abi Muh-

ammad 'Abd ar Rahman b. Isma'il al Ma'ruf bi-Abi Shama al-Maqdisi ad-Dimashki. Beirut. (აბუ შამა (1974). *თარაჯიმ რიჯალ ალ- კარნაინ ას-სადის ვა ს-საბი ალ მარუფ ბი-ზაილ 'ალარავდათაინ. ლი შიჰაბ ად დინ-აბი მუჰჰამად 'აბდ არ რახმან ბ.ისმა'ილ ალ მა'რუფ ბი-აბი შამაალ- მაკ-დისი ად-დიმაშკი.* ბაირუთი.).

Abu'l-F'ed'a (1872). *Annales d'Abu'l-F´ed^a'. French trans. in RHCHO.* vol. 1. Paris.

Allsen T Thomas. (2001). *Culture and Conquest in Mongol Eurasia, Cambridge*: Cambridge University Press.

Antelava I. Shoshiashvili N. (1996). *Life of Kartli.* Prepared for publication, with a preface and definitions of terms by academicians Ilia Antelava and Nodar Shoshiashvili, Publishing House "Nike", Tbilisi. (ანთელავა ი. შოშიაშვილი ნ. (1996). *ქართლის ცხოვრება.* გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ტერმინთა განმარტება დაურთეს აკადემიკოსებმა ილია ანთელავამ და ნოდარ შოშიაშვილმა, გამომცემლობა „ნიკე", თბილისი.).

Aug'e. I. (2012). '*Go ˇsavank'. un complexe monastique au regard des sources litt´eraires et´epigraphiques'.* Le Mus´eon 125/3–4.

Bedrossian R. (1986). *Kirakos Gandzakets'i's History of the Armenians.* Sources Of Armenian Tradition. New-York.

Boyle A.J. (1958). *Ala al-Din Ata-Malik Juvayni, The History of the World Conqueror,* 2 vols. Manchester: Harvard University Press.

De Nicola. B. (2011). *Unveiling the Khatuns: Some Aspects of the Role of Women in the Mongol Empire,* Ph.D. thesis. University of Cambridge, London.

Vardanyan A.(2007). '*Some Additions to the Coins with the Inscription "Ulugh Mangyl Ulus* (UlushBek"'. (T¨ubingen, Journal of

the Oriental Numismatic Society, no.9954,190/ https://www.academia.edu/1498313/Coins_with_the_inscription_Ulugh_Mangyl_Ulus_Bek_XIII_A D (06/06/2024).

Ward R.(2004). '*The Inscription on the Astrolabe by Abd al-Karim in the British Museum.* Muqarnas21.https://www.researchgate.net/publication/259790662_The_Inscription_on_the_Astrolabeby_Abd_al Karim_in_the_British_Museum~(06/06/2024).

Eastmond. A.(2018**).** *TAMTAS WORLD* (The Life And Encounters Of A Medieval Noblewoman from The Middle East To Mongolia**),** Cambridge University Press, London.

Kiknadze R. (1974). Juvein's Notes on Georgia, Publishing House "Science", Tbilisi. (კიკნაძე რ. (1974). *ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ,* გამომცემლობა ,,მეცნიერება", თბილისი.).

Conrad H.(2012). '*Beobachtungen und Notizen zur Situation der armenischen F¨ursten unter derMongolenherrschaft'* in Caucasus during the Mongol Period – Der Kaukasus In der Mongolenzeit. eds. J. Tubach, S. G. Vashalomidze and M. Zimmer. Wiesbaden: Reichert Verlag.

Natroshvili T. Japaridze G. (1974). An attempt to determine a single date, MEL, Tbilisi. (ნატროშვილი თ. ჯაფარიძე გ. (1974)**.** *ცდა ერთი თარიღის დადგენისა,* მელს, თბილისი.).

Richards D.S.(2005). *Izz al-Din Ibn al-Athir, The Chronicle of Ibn al-Athir for the Crusading Period from al-K—amil fi'l-Ta'rikh.* 3 vols. 3. Farnham: Ashgate.

Shoshiashvili N. (1961). Grigol Aknertsi, *History of the Nation of the Archers,* Armenian text with Georgian translation and commentary published by N. Shoshiashvili, "Publishing House of the Georgian SSR Academy of Sciences", Tbilisi. (შოშიაშვილი ნ.

(1961). *აკანელი გრიგოლ, მოისართა ტომის ისტორია,* სომხური ტექსტი ქართული თარგმანით და კომენტარებით გამოსცა ნ. შოშიაშვილმა, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა", თბილისი.).

Kikodze G. (1942). Rubruckvis, Guillaume, Travels in the Eastern Countries, translated from French by Geronti Kikodze, "Academy of Sciences of the Georgian SSR", Tbilisi. (ქიქოძე გ.(1942). რუბრუკვისი, გუილიუმ, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, თარგმანი ფრანგულიდან გერონტი ქიქოძისა, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია",თბილისი.).

Guchua V. Anjapadze Z. (1979). Essays on the History of Georgia, Vol. 3. Publishing House "Soviet Georgia", Tbilisi. (გუჩუა ვ. ანჯაფაძე ზ. (1979). *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ.3. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი.).

Ханларян А.Л.(1976). *Киракоз Гандзакеци. История Армении.* Пер. С древнеармянского. Москва: Издательство ,,Наука".

Japaridze G. (1995). Georgia and the Islamic World of the Near East in the First Third of the 12th-13th Centuries, Publishing House "Science", Tbilisi. (ჯაფარიძე გ.(1995). *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII საუკუნეების I მესამედში,* გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი.).

Humphreys R.S. (1977). *From Saladin to the Mongols: The Ayyubids of Damascus 1193–1260.* Albany: State University Of New-York Press.